

მსოფლიო ადმინისტრაციის საერთაშორისო ფინანსური ჯანსრის ცენტრი
საგადასახადო ანგარიშების აუდიტი

2019 წელი

სარჩევი

დასკვნა საგადასახადო ანგარიშგებაზე.....	3
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	3
ზოგადი ინფორმაცია	5
საბიუჯეტო გადასახადები	6
მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი)	6
საშემოსავლო გადასახადი	6

დასკვნა საგადასახადო ანგარიშგებაზე

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

ჩავატარეთ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (ს.ნ. 243123455) მიერ 2017- 2018 წლებში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციების შედეგად ბიუჯეტთან წარმოშობილი ვალდებულებების სისწორის შემოწმება.

გარიგება შევასრულეთ მომსახურების იმ პრაქტიკის მიხედვით, რომელიც ეხება შეთანხმებულ საგადასახადო პროცედურების ჩატარებაზე გარიგებას. პროცედურები შესრულებულია იმისათვის, რომ დაგეხმაროთ ბიუჯეტთან ვალდებულებების სისწორის შეფასებაში და შეჯამებულია შემდეგნაირად:

- ჩვენ მივიღეთ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები. რომელიც მოცავს შემდეგ გადასახადებს:
 - მოგების გადასახადი (თვითური);
 - საშემოსავლოს გადასახადი.
- ჩვენ შევუდარეთ ეს დეკლარაციები იმ დასაბეგრ ბაზებს და პირველად დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც შედგენილი იქნა ისინი. ასევე თანმიდევრულად დავალაგეთ და შევამოწმეთ ის ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილი იქნა შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ და თან ერთვის დასკვნას.

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ხელმძღვანელობა პასუხიმგებლობას იღებს, რომ ეს ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო შიდა კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს ანგარიშგებებში

შეცდომის თუ თაღლითობის გამო წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის თავიდან აცილებას.

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ანგარიშგებები ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია საქართველოს შემოსავლების სამსახურში წარსადგენი დეკლარაციებისა და გაანგარიშებების შევსების მიზნით. ამის გამო ანგარიშგება სხვა მიზნისათვის შეიძლება არ იყოს შესაფერისი.

ჩვენი დასკვნა მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რაზეც საუბარია დასკვნის პირველ პუნქტში და განკუთვნილია თქვენი ინფორმირებისათვის. ეს დასკვნა არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მიზნით, არც რომელიმე სხვა მხარეს უნდა გადაეცეს. ეს დასკვნა ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ საბიუჯეტო ვალდებულებას.

კონსტანტინე კიკნაძე

დირექტორი, აუდიტორი.

შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფი“

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

17 მაისი 2019 წ.



ზოგადი ინფორმაცია

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (შემდგომში „საზოგადოება“) რეგისტრირებულია წალკის სასამართლოს მიერ 2000 წლის 6 ივლისის #62/4-43 დადგენილებით. იგი როგორც გადასახადის გადამხდელი აღრიცხვაზე აყვანილია შემოსავლების სამსახურში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 243123455.

საზოგადოების 100% წილის მესაკუთრეა, სახელმწიფო.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ქ. 14 ბ.

შესამოწმებელ პერიოდში ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირებია:

- გენერალური დირექტორი - ავთანდილ ვანაძე, პ.ნ. 52001014032;
- დირექტორი - სპარტაკ ბუკია, პ.ნ. 01003001743.

2019 წლის 14 მაისიდან ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი - გიორგი გულაშვილი (პ.ნ. 01013009047).

კომპანიას ანგარიშსწორების ანგარიშები გახსნილი აქვთ შემდეგ ბანკებში:

- სს „საქართველოს ბანკი“
- სს „ლიბერთი ბანკი“

საზოგადოება ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა ინფო ბუღალტერიას. ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდს წარმოადგენს დარიცხვის მეთოდი.

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ ანგარიშსწორებას აწარმოებს როგორც უნაღდო ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით. კომპანიის სახელზე რეგისტრირებულია 1 სალარო აპარატი.

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს.

საბიუჯეტო გადასახადები

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საზოგადოება გადამხდელია შემდეგი გადასახადების:

- მოგების გადასახადი;
- საშემოსავლო გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე და 206-ე მუხლების მოთხოვნით საზოგადოების საქმიანობა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულებისა და ქონების გადასახადებისაგან.

მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი)

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი მოგების გადასახადის დეკლარაციების მიხედვით 2017 წელს მოგების გადასახდით დასაბეგრი ბრუნვა არ გააჩნია. ხოლო 2018 წელს მოგების გადასახდით დასაბეგრმა თანხამ 4 828 ლარი შეადგინა, მოგების გადასახადმა 852 ლარი.

შესამოწმებელ პერიოდში საზოგადოებას სრულყოფილად არ აქვს წარმოებული ბუღალტერია არსებული წესის მიხედვით. ასევე ვერ წარმოგვიდგინეს პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაცია სრულად, მათ შორის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. რის გამოც ჩვენს მიერ ვერ ხდება მოგების გადასახდით დასაბეგრი თანხის სისწორის შემოწმება.

საშემოსავლო გადასახადი

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით 2017 წელში ხელფასის სახით განაცემმა შეადგინა 648 839 ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებულმა განაცემმა 20 020 ლარი, ხოლო საშემოსავლო გადასახადმა

125 764 ლარი.

წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით 2018 წელში ხელფასის სახით განაცემმა შეადგინა 1 010 324 ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებულმა განაცემმა 34 101 ლარი, ხოლო საშემოსავლო გადასახადმა 195 245 ლარი.

საზოგადოებას არ აქვს წარმოებული ბუღალტერია სრულად ასევე ვერ იქნა სრულად წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაცია, რის გამოც ჩვენს მიერ ვერ ხდება ხელფასის სახით განაცემების სრულად დადგენა და შესაბამისად საშემოსავლო გადასახადის განსაზღვრა.

კონსტანტინე კიკნაძე
აუდიტორი, დირექტორი.



შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია

[illegible]

John D. Pappas, Jr.

2000

مجلس

2017-2018 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა

აუდიტორთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები სუბიექტური შერჩევის მეთოდით, რაც სრულიად საკმარისი იყო ინფორმაციის იდენტიფიკაციის, ანალიზის, შეფასებისა და საერთო ჯამში აუდიტის მიზნების მისაღწევად. დეტალურად შევისწავლეთ შერჩეული შესყიდვების დოკუმენტაცია და განვიხილეთ რამდენად შეესაბამებოდა შესყიდვის პროცესი და შესაბამისი დოკუმენტაცია დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებს. შევამოწმეთ სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის, წინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, ქ. თბილისი, 2005 წლის 20 აპრილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი 2011 წლის 7 აპრილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ამგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი 2011 წლის 10 თებერვალი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N212 2017 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები), გადავხედეთ იმ დოკუმენტაციას, რომელიც ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2017 -2018 წელს განხორციელებული შესყიდვის ფორმების მიმოხილვა:

N	შესყიდვის ფორმა	გაიხივადების რაოდენობა	ტენდერის სტატუსი „შეწყვეტილი“	ტენდერის სტატუსი „არ შედგა“	ტენდერის სტატუსი „უარყოფითი შედეგი“	ტენდერის სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“
1	ელექტრონული ტენდერი SPA	13	0	1	-	12
2	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT	52	2	7	3	40
N	გამარტივებული შესყიდვა		გამარტივებული შესყიდვა		კონსოლიდირებული ტენდერი	
1	CMR		380		17	

- **SMP - მოდულის მეშვეობით** ორგანიზაციას კანონმდებლობის სრული დაცვით აქვს 10 ჯერ მოთხოვნილი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში შესყიდვის განხორციელება, აქედან თანხმობა მიღებულია - 2 შემთხვევაში და 2 - შემთხვევა გახმოვლია თავად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.
- **შესყიდვების წლიური გეგმა**
შემსყიდველ ორგანიზაცია შპს აღმოსავლეთი საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაფინანსებას ღებულობს საკუთარი შემოსავლებიდან.
- **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე** - **REGT170014241** გამოცხადების თარიღი: 08.12.2017 ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „რჩეული საცხოზი“ 15846 ლარი.

პრეტენდენტი	მიღლი შეთავაზება ლ.ს.ს./დენი	მიღილი შეთავაზება ლ.ს.ს./დენი	შეთავაზებები
 შანგი გელაშვილი	17`960.00 შპს შანგი გელაშვილი	17`960.00 შპს შანგი გელაშვილი	[1] ნახვა
 შპს აღმოსავლეთი ვაჟები	17`282.00 შპს აღმოსავლეთი ვაჟები	17`282.00 შპს აღმოსავლეთი ვაჟები	[1] ნახვა
 შპს რჩეული საცხოზი	15`846.00 შპს რჩეული საცხოზი	15`846.00 შპს რჩეული საცხოზი	[1] ნახვა

მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია, კერძოდ რეკვიზიტები ატვირთული იყო სელმსოწმწერილია შემსყიდველის მიერ სატენდერო პირობებით მოთხოვნილი იყო ატვირთული იქნა დოკუმენტის ხელმოწერით დადასტურება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ შპს რჩეული საცხოზი პირდაპირ გამოაცხადა ტენდერში გამარჯვებულად და მოიწვია ხელშეკრულება გასაფორმებლად.

- ელექტრონული ტენდერ-აუქციონის გარეშე, **№AT170012449** გამოცხადების თარიღი 24.10.2017 წელი, მონაწილეობა მიიღო კომპანია მონაწილემ სადაც ტენდერის სავარაუდო საწყისი ფასი გამოცხადებული იყო - 5760 ლარი.

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
 შპს ივერია	4`036.00 4.036.00 ლარი	4`036.00 4.036.00 ლარი	[1] <u>ნახვა</u>

შპს „ივერია“ გამოცხადდა გამარჯვებულა 2017 წლის 8 ნოემბერს N46 წერილის საფუძველზე. შემსყიდველს არ მოუთხოვია ექსპერტიზის დასკვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესახებ. ამიტომ, აღნიშნულ შპს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით მაკიარ-გადამყიდველს შერულების შესაძლებლობას.

კონსტანტინე კიკნაძე
შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფის“
დირექტორი

